

რედაქცია

გაზეთის რედაქციაში: ა. მ. მუხრანისა და სხვ.

ხელის-მწერის

მისამართი: ქუთაისი, „დროების“ რედაქციაში, ქუთაისის გზის ნაკვეთი, გაზეთის რედაქციაში.

„დროების“ ფასი:

თეთრი წიგნი... 9 მან. წითელი... 3 მან. გრძელი... 5 მან. გრძელი... 1 მან.

გამოცემის უფროსი-ლ. მ. მუხრანისა

ფასი განცხადებისა

დროების გამოცემა, მისივე ერთი კაპიტალიზაციის...
დროების გამოცემა, მისივე ერთი კაპიტალიზაციის...
დროების გამოცემა, მისივე ერთი კაპიტალიზაციის...

გაზეთის რედაქციაში: ა. მ. მუხრანისა და სხვ.

დროება

მირამის დღესასწაულის გამოცემა, გამოცემა „დროებისა“ ხელის-მწერის გამოცემა.

დღეს, 2 თებერვალს, დანიშნულია ქალაქის რეგისტრაციის დანახვა, დღის 11 საათზე შემდეგი

პრეზენტაცია

ქართული საზოგადოებრივი ტერმინების შესახებ შედეგად.

არწრუნის თეატრი.

დღეს, 2 თებერვალს

ბენეფიცი

საზოგადოებრივი

ქართული დრამატული დასისა და წარმოდგენის იქნება

I

რაც გინახავს ვეღარ ნახავ

კომედ. 3 მოქმ. თხზ. ა. ს. გარეჯისა.

II

ლიბერტისმენტი

რომელიმე მონაწილეობას მიიღებენ ნ. ბაბუნია, პ. შიფინი და პ. მესხი.

დასაწყისი 8 საათზე.

ტელეგრაფი

(საზოგადოებრივი საგანგებო)

სამხედრო-გარეგანი

31 იანვარს

პარიზი. პრინც ნაპოლეონი თავის შვილი-გიორგიმ წავიდა ლონდონი.

„დროების“ ფელტონი, 2 თებერვალი.

საზოგადოებრივი

სამხედრო-გარეგანი, ვით განმარტავს უფრო

მისი ტრეფისა უფროდ და სუსტად

ენა? ვით შესძლას აზრმა კვ უფროდ უფრო

რო გრძნობს და კაცთ გონება გაუნათლდეს, თვალთ

მთლად განმარტავს? რას ადარებს ის წარმოდგენას...

მიუყვანს ის, ვით შეიძლება დედა თავისი

მშობელი, ვინაა შთაბერა მას სიცოცხლის უფროდ

სული, მისი პირველი გრძნობა და ტრეფის მისცა

უსი საზრდელი და დაუმედიდრა ღვთიურ ცრუებით აღსავსე

გული...

მიუყვანს ის, ვით ჭაბუკის სატრეფო აზრ

სება, გიჟურად გნებით გატაცებულს, მთლად მო

სიბუღლას,

ში, ხმები, რომ ახლას სამინისტროს თავად ღრეისინი იქნება.

ბერლინი. გერმანიის იმპერატორმა. იმპერატორმა და ტანტის მეტე-გიდრემ ინახულეს თ. ანდოვა რუსის დესპანი პარიზში. ერთს ნემცურ გასეთში იწერებინ, რუსეთის შეიარაღება შედეგად იმ სამხედრო ცვლილებათა რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში მოხდა რუსეთში. მაგრამ ამ შეიარაღებისა და ცვლილებების შემდეგ გერმანიის უფრო ძლიერი იქნება რუსეთზე.

რუსეთიდან

30 იანვარს.

პარიზი. დღეს, 30 იანვარს, გარდაიცვალა პეტერბურგში რომის — კათოლიკეთ მიტროპოლიტი ანტონი ფალკოვსკი.

ხმები, რომ გერმანიის კურთხევის დროს უწყინდესა სინოდის სამართლებრივ გადაწყვეტილებებს მოსკოვშია. პეტერბურგში დაარსდება დროებითი სინოდალური კანტორა.

31 იანვარს

პარიზი. გუშინდელს უფროსის იუბილეს დღესასწაულობაზედ თეატრში დაესწრნენ მათი იმპერატორობითი უდიდებულესობანი და პეგრნი სსგა წარმომადგენლები.

ვისაც სიკვდილი მისს ბედისთვის არ და-ზარდება, ვინც მით ცოცხლად უმისობს ვისც უნესს წუღუფას...

მიუყვანს ის, ვით ბრძენს უფროსს ტემ-მარიტებს, რომელსაც იგი თვის სიცოცხლე მისა შესწიროს, თვალთ და კაცთ გონება გაუნათლდეს, თვალთ აქსილას...

ვით თეგზნი წყაღეს, ვით ფრინველნი გა-მარს ცისა, მარად შესტრფიან იქს ჭგმობენ ბედ-ნიერებას, ესრედ, სამხედრო, შენ ხარ წყარო ნათ-ლის რწმენისა, შენით კერძო მხოლოდ ნეტარს წამებს, ღმერთსა და შეგებს...

მიუყვანს... მაგრამ უსივრცე კვ სივრ-რული... წუღუფის იყოს იგი ტრეფის ის წმინდა გრძნობა,

ერთი სახსართაბანი ჩვენი გეგრა-ნომიის წარმომადგენლის

ტელეგრაფი, 1 თებერვალი.

როდესაც ამას წინად ჩვენს საზოგადოებაში და პავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრებაში ბ. მენინერის აქტიონურ კამპანიის თაობაზედ იყო სჯა და მომეტებული ნაწილი ამ გეგრა-კამპანიის დაარსების წინააღმდეგი გახ-და, ბ. მენინერის აზრის მომხრენი ერთს სამართლიან კითხვას გვაძლე-დნენ:

— ძარგი და პატიოსანი, თქვენ არ გინდათ, რომ უცხო კაცმა ისარგებ-ლოს თქვენის ნაწარმოებით; არ გინ-დათ არც იმის ფული და არც იმისა-გან თქვენი ნაწარმოების წაღება. მაშ, როგორ აპირებთ ამ საქმის გაძლო-ლას? მანა უკეთესი იქნება, რომ ისევ ჩარჩებისა და სირაჯების ხელში დარ-ჩეთ? მანა ის გირჩევიან, რომ თქვენს ნაწარმოებს ასე ვიწრო ბაზარი ჰქონ-დეს გასაღებისა და ასე ცოტა სარგე-ბელს გაძლეოდეს ეს თქვენი ოფლი და შრომა?

მართლაც, ყველა ჰხედავს და გრძნობს ახლა, რომ თავის ოფლითა და ნაღველით ქართველ კაცს იმის ნა-ხეგარი შემოსავალი და სარგებელიც არა აქვს, რამდენიც შეიძლება რომ ჰქონოდა, თუ კი ამ ნაწარმოებ-ნაღველის რიგთან გასაღება მოეხერხებინა. შე-გლა ეხედავთ და გრძნობთ, რომ ქარ-თველ კაცის მამული თითქმის ნახევარ ფასად უფარდება ხელში უცხო ხალხს, გაჭარს, და ეს სარგებლობს ამით, ეს იღებს ჯიბეში იმას, რაც სამართლით

რომელიც მხოლოდ გულში სუფევს ღმრთ-დამარხული და სოცრს არ ისხამს ისე, დედა, ისე ისრ-ხობს!!!...

და თუ ღმრთე ბედის-წერა მე გამოი-მეხს, შენს საღმრთო წილს კვლავ ვისილავ სია-მოვებით, მაშინ, ჩემს საქართველოზე, რა რიგ დამიწევს საწყალი გული ტოკვას მკერდში მე ნე-ტარებით: მაშინ მოვმართავ ჩემს ჩანგის სიმით და-ჯანგულსა და გავისვენებ ბეჭებს სმებს მივიწვე-ბულსა?!

კიკვი, 1881 წ. დიმი. ბრემელი.

მიწერა-მოწერა

მადრი, 15 დეკემბერი.

მივიღე, ძმაო მიხეილ, შენი წერი-ლი და წავიკითხე მსჯელობა ჩინო-ნიკობაზედ.

შნდა გითხრა, ძმაო, რომ მე არ

მიწის მუშასა და მიწის პატრონს ეკუთვნის.

ათასი მაგალითები, ათასი შემთხვე-ვები ეიცით, ჩვენს გაზეთშია გამოც-ხადებული ყოფილა ამის დასამტყი-ცებელად და ახლა ამაზე სიტყვის გა-გრძელებას საჭიროდ აღარა ვთვლით.

მაშ რა გვიხსნის ამ მდგომარეობი-დამ? რა საშუალებაა ისეთი, რომ მიწის თავის ნაწარმოებში ერგოს პატ-რონს თავის საკუთრება და სხვის ნა-შრომითა და საკუთრებით გარეშე კა-ცი არ სარგებლობდეს?

რ.ა. თქმა უნდა, რომ აქ ჩვენ საფუძვლიანად ამ საგნის განხილვას, ამ საშუალების მოძებნას არ შეუდ-გებთ. ჩვენ გვინდა მხოლოდ ორი-ოდე სიტყვა ეთქვას ერთს პატარა ღონის-ძიებაზედ, რომელიც დღეს ამ მდგომარეობაში ცოტათი მაინც და-გვეხმარება, ცოტათი მაინც განგვა-თავისუფლებს იმ ხალხისაგან, რომ-ელიც არც ხენენ, არც სთვსენ და მკით კი მკიან.

ეს საშუალება არის ისე მოწყობა, ისე მოხერხება საქმისა, რომ წარ-მოებელს თავის ნაწარმოების მიწო-ლება შეეძლოს პირ-და-პირ იმ ხალხი-სთვის, რომელსაც ეს ნაწარმოები ეჭირება; რომ პურის ან ღვინის მო-მყვანმა, ეთქვას, უ-შუა-კაცოდ, უ-ვაჭროდ, მიწოდოს ამ საგნის მომ-მარს თავის გასაღებელი საქონე-ლი.

ამისთვის ერთი საშუალება არის დიდი ხანია მოგონილი: ისეთი მაღა-ზნიების, ანუ საღაროს, ანუ, როგორც

ვეთანხმები შენს აზრს. ჩემი ფიქრით, შენ ძალიან მიდგომით სჯი საქმეს. ამბობ, თუ ჩინოვნიკი და პატრონ-ება — ორი ისეთი დაშორებული სიტ-ყეობა, რომ მაგნიტური ძალითაც ვერ დაახლოვებ მათა. რათა? შეიძ-ლება სიტყვა ჩინოვნიკი — ყურისათვის მძიმე გასაგონი იყოს, შეიძლება ჟამ-თა ვითარების გამო, მას უღირსი მნიშვნელობა მისცემოდეს, შეიძლება ამ სიტყვასთან ერთად, მისი უფუფე-სი წყერი გვიდგებოდეს თვალ წინ, ნათქვამია ჩვენი ქვეყანის ცხვარი მთელ ფარას გააქცევანებსო, მაგრამ, მაინც რა? ნუ თუ მართლა არ შეიძ-ლება, რომ კაცი იყოს ერთსა და იმა-ვე დროს ჩინოვნიკი და ღირსეული შეილიც ამ საუკუნის? ნუ თუ ესე-ნი ერთმანეთს რასმეს დაუშლიან?

ჩინოვნიკი ასრულებს კანონის მო-წერილობას, კანონი ხომ არის შედ-გენილი, შეთანხმებული ხალხის ცხო-ვებასთან და არ ეწინააღმდეგება მას, და მამასად-მე ჩინოვნიკი, რომელიც ასრულებს თავის მოვალეობას წმი-

ახლა უძახიან ჩვენში, ისეთი დეპოსტამარტოეა შუა-ადგილებში, სადაც მიწის-მომქმედსა და მწარმოებელს შეეძლოს თავისი საქონლის მოზიდვა და გასაღება.

რამდენიმეჯერ იყო ლაპარაკი ჩვენს საზოგადოებაში, ჩვენს თავად-აზნაურებში ამ გვარ სალაროს გამართვაზედ ტფილისში, მაგრამ, როგორც საზოგადოდ გვჩვენია ხოლმე ხშირად, ეს ლაპარაკი ლაპარაკითვე გათავებულია და საქმე საქმედ კი ვერ მოსულა.

ამ გვარი სალარო, მართლა ტფილისში კი არა, ყველა სამაზრო ქალაქებში და დიდ სოფლებშიაც უნდა გაიმართოს. შევლას, ვინც იქ თავის ნამუშევარს მოიტანს, უნდა მიეცეს იმ თავითვე ნახევარი ან მესამედი მაინც მოტანილ საქონლის ფასისა.

ჩვენ რომ ახლანდელ ჩვენებურ გზების მდგომარეობას და სოფლის ხალხის (თავად-აზნაურებისა) ფულის გაჭირებას ვხედავთ, ამ გვარი საქმის რიგაინად დაწყება ბევრ სიძნელეს წარმოადგენს.

შველას პირველად საქირაა, რომ ამ საქმის მოთავეთ, სალაროს დამატებელთ საქმეა ფული ჰქონდესთ ხელში, რომ იმთავითვე, საქონლის გასაღებად, შეიძლოს გაჭირებულ პატრონს ნამუშევრისას ხელი მოუშალოს. ხშირად სოფლის ხალხს იმდენი საშუალება არა აქვს, რომ გასასყიდი საქონელი ქალაქში ჩამოხილოს, — აქაც ნდობა და ხელის-გამართვა არის საქირა. ამას გარდა, თუ სოფლის გზები არ იქმნა ჩვენში გაყვანილი, როგორც ახლა ოხრდება და ნახევარ ფასად საღდება ხოლმე დიდ ძალი ნაწარმოები ჩვენი ხალხისა, ათასი სალაროც გაკეთდეს, ბევრ სარგებლობას ვერ მოუტანს მიწის-მომქმედს.

დად, პატრონურად, ამით ხდება სასარგებლო კაცად თვისის მამულისა და ხალხისა. შეიძლება ჩინოვნიკი არ ეთანხმებოდეს რომელიმე მოწერილობის მუხლს, შეიძლება ეს მუხლი კრიტიკულად განიხილოს კაცმა (როგორც, მაგალითებზე, მე მოვიქცე ჩემი „პლანის“ შესახებ), მაგრამ ამის შემდეგი ისევ სიკეთე იქმნება.

მე მგონია, რომ მთავრობას და მის წევრებს — ჩინოვნიკებს ერთი და იგივე მიზანი აქვთ — ხალხის შევლა, დახმარება, განათლება, ყოველ გვარი უსამართლობის მოსაზრება, და თუ ეს ასეა, მაშ რად არ შეიძლება, რომ ჩინოვნიკი საზოგადო სასარგებლო კაცი იყოს? შენ რომ მოწერილობის რომელიმე მუხლი არ აასრულო და საქმე კი, რომლისთვისაც ყველა მოწერილობა იგზავნება, კარგად წაიყვანო, ნუ თუ მოგედავება ეინმე რასმეს? ავიღოთ თუნდა ჩემი საქმე. მე არ ვეთანხმები ჩემს საველდებულო „პლანს“, მაგრამ რა ვუყოთ? „პლანის“ დედა-აზრს ხომ ვეთანხმები, რომელიც, უეჭველად, მდგომარეობს იმაში, რომ რაც შეიძლება სკოლამ

საჭიროა აგრეთვე ისე წაყვანა ამ საქმისა, რომ აქაც ქართველობა არ დაგვეტყოს: ცოდნით, ვაჭრულის ანგარიშით და ბეჯითად.

ბევრი რამ სხვა ეჭირება ამისთანა საქმის რიგაინად წაყვანას, ბევრი სხვადა-სხვა დაბრკოლება დაუდგება წინ, ბევრი მტრები და მოწინააღმდეგენიც აღმოუჩნდება, მაგრამ შესრულება მაინც შეიძლება, თუ ენერგიულად, მხნედ და ვაჭრულ ანგარიშით მოჰკიდებენ ხელს.

და თუ მართლა შეასრულეს, უეჭველად, ეს დიდ სარგებლობას მოუტანს მწარმოებელსაც და ნაწარმოების მომხმარებელსაც და ამას გარდა, თავიდან აგვაცილებს ბ. მესინერის მსგავსი „მოკეთესაგან“, რომელიც დღეს, მგონია, მოვიშორეთ თავიდან, მაგრამ რომლის მსგავსი შეიძლება ხელოვნების და დიდი ზარალი მისცეს მთელს ჩვენს წარმოებასა, მთელს ჩვენს ხალხსა.

ამაზედ კარგად უნდა დაფიქრდეს ჩვენი მოწინავე საზოგადოება; ეს არის იმისათვის არსებითი საფანი, ამაზედ, ამ უცხო ხალხის თავიდან აცილებას, ქვეყნის ბედ-იღბალი არის დამოკიდებული.

დღიური

ჩვენმა ძალაქის რჩევამ გუშინდელს (31 იანვ.) სხდომაზედ ძალაქის მამგობის წევრებად და სეკრეტარად ისევ ძველი წევრები და სეკრეტარი აირჩია, ე. ი. ბ. ბ. ხოსროვეი, პაპოვი და იშმაილოვი.

ამავე სხდომაზე კრებამ გარდაწყვიტა, რომ სანამ ქალაქის შემოსაღლის გასაღების ანგარიშის განხილვას გათავებდნენ (რომელსაც შემდეგის სხდომიდან შეუდგებიან), კვირაში

უშველოს სოფლის საწყალ ხალხს, აწიოს მისი გონება მაღლა, განათლოს, გამოიყვანოს იგი იმ მაგნიტურ-მორწმუნოებიდან, რომელშიაც არის ახლა. პლანს, უეჭველად, სასწავლო პროგრამის განმარტებით და აღსნით ჰქონდა სახეში დახმარებოდა სკოლას თავის მიზნის მისაღწევად. მე, ვსთქვამთ, არ მომწონს ზოგიერთი მუხლები ამ პლანისა; მე, მგონია, რომ რუსული ენის პირველ განყოფილებაშივე შესწავლა უფრო აწინებს საქმეს, ვიდრე არგებს. მე აგრე მგონია და ამ რიგად მე და პლანს გვაქვს მხოლოდ სხვადა-სხვა გზა, დავდგამილვართ სხვადა-სხვა ბილიკს, რომლებიც ერთ მიზანთან-კი იყვებიან. მინ რას მეტყვის, რომელ გზაზედაც უნდა წავიდე, მხოლოდ მიზანს კი მივალწი, ჩემი ძვირფასი მოწაფეები კი განვავითარო გონებით და სულით?

არა, შენ, მგონია, სცდები ჩინოვნიკობის შესახებ. მე კი თუ გინდა ნათქვამზედ შორსაც წავალ. ჩემის ფიქრით, ჩვენ ქვეყანას რომ ცოტა ბოლომად ჰყვანდნენ სხვადა-სხვა გვარი მაღალი ჩვენთაგანი ჩინოვნიკები,

ორჯერ იქონიონ კრება: პარასკეობითა და ორშაბათობით.

მურღობა და ავსაკობა როგორცაა თან-და-თან ვრცელდება ჩვენს ქალაქში. ამ კვირაში მაგალითად ორი შესანიშნავი ავსაკობა მოხდა: მოჰკიდა მოხუცებული დედაკაცი ახვერლოვისა და გაცარცვის ბურგენბეგოვი. ახვერლოვის ქალი, როგორც ამბობენ, ნაჯახით მოუკლავთ, ერთი ყბაში აქვს დაკრული და მეორე ყელშია. ბურგენბეგოვს ექვსი ავსაკი დასცემია თავს, ბევრი უცემიათ და სამას თუმანდინ ფული წაუღიათ.

პეტერბურლის გაზეთებში იწერებოდა, რომ ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინის კურთხევის დროს მოსკოვში მოპატიჟებული იქნებიან მხოლოდ ძალაქის თავები, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღომეონი და გუბერნიის ერობათა თავსჯდომეონი. საზოგადოდ გვირგვინის კურთხევის თაობაზედ ცალკე კამისია არის დანიშნული, რომლის თავსჯდომარედ სასახლის მინისტრი იქნება.

პეტერბურლში ჩასულა ფინლანდიელების დეპუტატი ბ. ძასტრენი, რომელსაც მინდობილი აქვს თავის თანამემამულეებისაგან ხელმწიფე იმპერატორს მიართვას თხოვნა, რომ შინონიას მიჩინოვს სტამბის თავისუფლება, ე. ი. ყველა გაზეთებსა და ჟურნალებს ჰქონდესთ უფლება, რაც უნდათ სწერონ, და თუ რამე დააშავეს, იმათი დანაშაული სასამართლომ განიხილოს და არა აღმინისტრაციამო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განზრახვა იქვს შეადგინოს ცალკე კამისია, რომელსაც მინდობილი ექნება

უფრო კარგ დღეში ჩაეარდებოდა იგი. ამ უკანასკნელების ხელში იქმნებოდა ბევრ-გვარი ხალხის საშველი იარაღი.

ბი, ეხლა საკვირაო სკოლაც გაემართე დიდებისთვის. ამ გვარს სკოლაზედ ჩემს „პლანში“ არა სწერია-რა და მაშ მის დამიშლის ამას? არა, არა მგონია; ამით მე მართლა ახალი საშუალება ვიპოვე ჩვენი საზოგადო მიზნის მისაღწევად.

მართლა, ორიოდ სიტყვა ამ სკოლაზედ გითხრა. დიდი შრომა გაეწიე ამ საქმის სისრულეში მოყვანისთვის. პირველად გლეხები ძალიან ეჭვით უყურებდნენ ჩემს საკვირაო სკოლას, ეგონათ თუ ახლა ამის ხარჯს შეაწერდნენ მათ. როდესაც ამაში გადავარწმუნე, მაშინ დაიწყეს თითო-ორიოდე სიარული. მხლა, სულ სამი კვირის განმავლობაში, ჩემი ახალი სკოლა სთვლის თავის მოწაფეთ თვრამეტამდის, რომელთა შორის ორი დედაკაციც ურევია. წარმოიდგინე, რასაა მოგონო სურათია, რომ ჰქალარა ტიტია მაღის კვირა დღეს ჩემთან

მოილაპარაკოს სატუსალოებისა და ტუსალების მდგომარეობის შესახებ.

მე სადამდინ მიაღწევს ახლანდელ ჩვენებურ ფულიან ხალხის სხვადა-სხვა ფულის გამსესხებელთა თამამობა და ამაყობა — შემდეგი გარემოება გვიმოტყეობს.

მოგვხსენებთ, რომ ერთმა ფულიანმა ვაჭარმა კაცმა, გვარად ბალოვმა, გახსნა ქ. თელავში ესრედ-წოდებული გამსესხებელი კასნა. ამ დღეებში ბ. ბალოვმა გაუმართავს სადელი, რომელზედაც დიდ-ძალი ხალხი მოუწვევია და „რჩიიც“ უთქვამს, რომლიდანაც შემდეგი ალაგი მოგვყავს:

„ბატონებო! მე აქ დავიბადე, აქვე ვაპირებ სიკვდილს. ბეფიცებით, რომ უკანასკნელ დღეებს ჩემის სიცოცხლისას მე სამშობლას სიკეთეს შევსწავა. მე ვხედავდი, რომ აქ ფულები იყო საჭირო, დაეარსე ბანკი და, მგონია არც მოეტყუელი, მე მსურს ჩემის შრომით დავიმსახურო თქვენი თანაგრძნობა და მთელის საზოგადოებასა...“

რა კარგი მასალაა სამახვილო ფელტონისა და სატირიკოსისათვის!

დღეს, 1 თებერვალს, ქალაქში თოვლი მოდის და ქუჩებში კი ლაზათიანი ტალახია.

ჩვენ მივიღეთ გაზეთში, დასაბეჭდად, შემდეგი წერილი სოფ. საგერის ზოგიერთ მცხოვრებთაგან:

„თქვენ პატივცემულ გაზეთის წასრული წლის ერთ ნომერში ეწერა, რომ, ვითომც, პოლიცია საგერის მცხოვრებლებს ძალდატანებით ატლევინებდეს ჩინოვნიკებისათვის სახლებსა, სხვათა შორის, საგერის მონას-

ქალაქის“ სასწავლოდ, ჯდება თავის შეილის ალაგას სკამზედ და იმაზედ უხეიროდ აგრძელებს რომელიმე სიტყვის ხმას.

საზოგადოდ ეს დიდი მოწაფეები ძალიან კმაყოფილი არიან თავიანთი სწავლისა. პატარა ბიჭების სიხარულს კიდევ ხომ სამხდარი არა აქვს, რომ ჯერ იმ დიდმა კაცებმა ანბანი ვერ გაათავეს და ამათ კი „დედა-ენა“ მიუყუნწეს.

მსე, ძმაო, ვაჩხრახებ რალა საქმეს, როგორც მაღაროელები იტყვიან ხოლმე.

შენი დიმიტრი.

ზასუხი.

ტფილისი, 25 იანვარს.

დიმიტრი! პატკოვს რომ გაგონა შენი აზრი ჩინოვნიკობაზედ, დაიჯერე მოწინავე სტატიას დასწერდა შენ საქმეებზედ თავის „შუკებებში“. ძველთა და სიხარულით აღამაღლებდა ხმას, რომ ჩემი აზრისანი ბევრნი სხვანიცა ყოფილანო. არა, ძმაო, ძალიან სცდები ამ შემთხვევაში; ანუ, სწორედ რომ ვსთქვამთ, კი არ სცდები, ვერ

ტრის წინამძღვარსაც, მაგრამ ამ უკანასკნელს, ვითარცა, უარი ეთქვას და ჯერ-ჯერობით ამით იყოს საკმე გაჩერებული.

„დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბ. რედაქტორო, რომ ამდენს ხანს არ დაეტოვებდით ამას უპასუხოდ, მაგრამ, საუბედუროდ, მინამ ბ. პლეკსანდრე ბამრეკელის პასუხი არ წავიკითხეთ ამ კორესპონდენციზმდ, მანამდის არც კი გავიგვია.“

„ბატ. ბამრეკელი თავის პასუხში თხოულობდა ჩვენგანით მოწმობას შესახებ იმისა, რომ ჩვენთვის პოლიციას ძალა არ დაუტანებია სახლების დაცვას. ამისათვის გთხოვთ მისცეთ ალბი თქვენ პატივცემულ გაზეთის რომელიმე ახლო ნომერში ამ ჩვენ წერილსაც.“

ჩვენ საგერის მცხოვრებნი მოგახსენებთ, რომ პოლიციას არასოდეს არ დაუყენებია ჩვენთვის ძალა სახლების დაცვის შესახებ. მართალია, კერძო ლაპარაკი იყო, რომ ჩინოვნიკებისათვის სახლები გვეშოვნა, მაგრამ, რადგანაც თვითონ პოლიციამ დაინახა, რომ ჩვენ მომზადებული არ ვიყავით, რომ ჩვენი სახლები ჩინოვნიკებისათვის დაგვეთმო, ამის გამო არც ძალა დაუტანებია და არც არა უთქვამს-რა“.

წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო! თქვენს პატივცემულ გაზეთში ამას წინად, (№-233) იყო დაბეჭდილი ბურჟუაზი კორესპონდენცია ჩინათის საზოგადოებისაგან აღმორჩეულ ნაფიც პირთაგან ავაზაკებისა და სოფლის მანებელ პირთა აღმოსაჩენად. პორესპონდენტი სხვათა შორის ჩემზედ ამბობს, ვითარცა მე ვიყო მანებელი ჩინათის საზოგადოებისა, მათგან და აგრეთვე აღვი-

იცნობ ჯერ ცხოვრებას, არ იცი ჩინოვნიკური წყობის მიმართულება და გულ-წრფელად ლაპარაკობ საგანზედ, რომელიც კი არ არის ცხოვრებაში, არამედ სასურველია, რომ იყოს. შენ ჩვენებური უგრძნობარა ჩინოვნიკი არა გყავს წარმოდგენილი და მაზედ არა ლაპარაკობ, არამედ შევიცარიის ან ამერიკის პატიოსანი მოხელე, რომელიც, მართლა, თავის თანამდებობის აღსრულებით ერთად ეწევა მამულის-შვილის უღელსაც, რომელიც მოხელეც არის და მართალი პატიოსანი და სასარგებლო კაცი. ჩვენში, გეუბნებოდი, და გიმეორებ—ეს ამ ყაზად თითქმის შეუძლებელია. მხოლოდ ნუ კი მკითხავ რათა? იმით, რომ ეს ყველამ იცის. ჩვენ მხოლოდ ელაპარაკოთ მაგალითებით და ფაქტებით. დავიწყეთ, თუნდა ჩვენი ქვეყნიდამ. მოიგონე განთქმული ჩვენი ქვეყნის ღენარალი სიციანოვი; გაიხსენე სხვა-და-სხვა დიდ ჩინიანი პრეკლები, ბრუზინსკები და სხვანი; ზოგიერთი ჩვენი „სუღა—ნა—ჩალნიკები“ და მათი წერილი ძმანნი.

ლობრის აღმინისტრაციისაგან ცნობილი ცულ კაცად.

ამისათვის იძულებულ შევიქნენ, სიმართლისა ჩემისა აღსადგენელად, ესთქვა რამოდენიმე სიტყვა; და, თუმცა ღირსად დაინახათ ჩემი მოხსენება, გთხოვთ დამიბეჭდოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში.

პირველად ჩემი ვინაობა: მე განლავეარ ჩოჩხათის საზოგადოების მცხოვრები და ჩოჩხათის სოფლისაგან აღმორჩეული სკოლის და მრევლის ეკლესიის მზრუნველად.

ამ დროში ყველა ავაზაკებისაგან და მრუდი და ცრუ მეტყველებისაგან ელის საცხოვრებელის შეძინებას და მართლაც, სიმართლე მათგან განდევნილ არს. ამ გვარის საშუალებით სურთ შეადგინონ და განამრავლონ სოფლებში მათი მომჩრე, არიონ, დარიონ საზოგადოება და მით რამე ისარგებლონ.

მოგესხნებათ გავლილ წელს სექტემბრის თვეში მზურგეთს მობრძანდა ბათუმის ლუბერნატორი ბ. სმეკალოვი, რომელმაც მრთელი ბურიის საზოგადოება ჩამოიარა და ყველა სოფლის საზოგადოებას გამოუცხადა, რომ მიგლოთ სასტიკი ზომა ყოველ გვარი ავაზაკების და ხალხთა მანებელ პირების აღმოჩენისა და მოსპობისათვის. ამისთვის, შემდგომ ამ საგანზედ ხალხთან მოლაპარაკებისა, გამოსცა ბრძანება, რომ სოფლის საზოგადოების ყრილობამ აღმოიჩინოს თვის შორის ოც-და-ოთხი კეთილსაიმედო კაცი და დააფიცონ, რომ სიმართლით დასახელონ ავაზაკნი, მტაცებელნი, ქურდნი და ყოველნი პირნი სოფლის მანებელად ცნობილნი შეუდგინონ მათ პროტოკოლი, განჩინება დასასჯელად, და წარუდგინონ ლუბერნატორს.

ამ განკარგულებისამებრ ჩვენმა სოფ-

ბულ-წრფელად მკითხავ, რატომ არ შეიძლება, რომ ჩინოვნიკი პატიოსანი კაცი იყოს? ზევეთაც გითხარ, რომ ამანზედ შენვე იფიქრო, მხოლოდ მე მასალას მოგცე. ჩვენი ქვეყნის ჩინოვნიკებს არ ვეცები, იმიტომ რომ, თუ არ დავასახელებ გმირის სახელი—იტყვიან ტყუის, ჩინოვნიკობას ცილსა სწამებო; დავასახელებ და ეთრიე სუდებში; დამიმტკიცე, რომ მე „შპიონი“ ვარო, ქრთამი ამილია, მე ცული კაცი ვარო და მე კიდევ ეს არ მინდა, სწორე გითხრა, ან კი რომელ ერთს დაუმტკიცებ.

„მრთ აღმოსავლეთის სიმბირის ქალაქში, სწერენ „აღმოსავლეთის მიმოხილველს“, მოვიდა პროკურორად ერთი ახალგაზდა ყმაწვილი კაცი, უნივერსიტეტში კურს შესრულებული, ცნობილი მთელს პეტერბურგში პატიოსანი და ჭკვიანი ახლა-გაზდა კაცი. როდესაც ის ერთხელ თანამდებობის-და-გვარად შინჯავდა ერთს სატუსალოს, შენიშნა იქ ბევრი უწყობა და აცნობა ყველაფერი თავის მთავრობას. უწყობა შეეხებოდა

ლის კრებამ აღმოიჩინა ოც-და-ოთხი კაცი, მათ შორის მეც მათ წინამგდომელად. შევლა აღმორჩეულებმა დაეფიცეთ, როგორც ქრისტიანობა გვიწევს იმ წესით.

შემდგომ ამისა შევადგინეთ სია და პროტოკოლი მტაცებელთა და სოფლის მანებელ პირთა და წარუდგინეთ ბ. სმეკალოვს.

რა კი ეს ამბავი შეიტყვეს იმ პირთა, რომელნიც ჩვენგან იყვნენ სიმართლით შენიშნულნი მანებელად, მაშინვე დაიწყეს ფაცი-ფუცი მათის ცული ყოფა-ქცევის დაფარვისათვის; მიმართეს თავიანთ თანამგზავნებელთ, რომელნიც შეუდგნენ ღიდის მეცადინეობით და სხვა-და-სხვა ხრიკებით დარღვევას ჩვენგან შედგენილის პროტოკოლისა და რადგან მე ვიყავი წინამგდომელი და კარგად იცოდნენ, რომ სიმართლეს არ უღალატებდი, მოინდომეს ჩემი დაბრკოლება და სახელის გატეხა ხალხის წინაშე: შეადგინეს ჩემზედ ჩივილი, ვითარცა მე ვიყო ავაზაკური ყოფა-ქცევისა, და მიართვეს ბ. სმეკალოვს, რომელსაც ვიახელ და ყოველივე მიზეზი სიმართლით და განმარტებით მოვახსენე და გვანებ კიდევ დარწმუნდა ჩემს სიმართლესზედ და მიბრძანა ჩემი დარჩენა ჩემს ადგილზედ.

მნლა, ბატონო, გთხოვთ მიბრძანოთ—საიდგან სჩანს ჩემი ცული მოქმედება? მე მხოლოდ ის უფრო მაწუხებს, რომ ჩემი სიმართლისა გამო შევიქნენ ბოროტ-მოქმედებთაგან საქვეყნოდ გამოცხადებული თქვენს გაზეთში, ვითომ მათსავე ბოროტ-მოქმედების მოყვარე ვიყო, თორემ, იმედი მაქვს, მე არავითარი ცრუობით ქმნილი საქმე არ შემეხება.

სოფლის ჩოჩხათის მცხოვრები
იოსებ საჩიშვილი.

ტუსალების ცულ მოპყრობას და მათ საქმელ-სასმელს და იყვნენ იმ გვარნი, რომ პოლიციებისტერი და ზედამხედველი სატუსალოსი მიიციმოდნენ სამართალში. როდესაც პროკურორის ქაღალდი წავიკითხათ სატუსალო კამიტეტში, თავჯდომარის თურმე ეთქვა:

„—ცული არ იქნებოდა, რომ ამ თხზულების ავტორს მოეძებნა სხვა გუბერნიისაში სამსახური!“

„საზოგადოდ პროკურორის მოხსენებას ძალიან ცული შთაბეჭდილება მოეხდინა კამიტეტზედ. არავითარი შედეგი არ მოჰყვა ამ ისტორიას არც ტუსალებისთვის, არც პოლიციისთვის; მხოლოდ ის მოხდა, რომ პოლიციამ თავის მხრით შეთხზა უშედეგო „დანასი“ პროკურორზედ და გაგზავნა, ვისთანაც საჭირო იყო.“

მა ერთი მაგალითი.

იქმნება იფიქრო, რომ ეს არაფერი, ერთი მაგალითია და ისიც სადღაც აღმოსავლეთ სიმბირშიო. აი, მეორეც კიდევ რუსეთში.

საფრანგეთის საქმეები
ბი არ დალაგებულა და იქნება კარგახანი გავიდეს და ეს არეულობა, მუდამ მინისტრების ცვლა, მოწინააღმდეგე დასებთა შორის ამტყდარი შუღლი არ ასცილდეს მას. ძარგა ხანი გავიდეს—ეს იმითომ ითქმის, რომ საფრანგეთს აღარა ჰყავს ბამბეტა, რომელიც ამ გვარ შემთხვევებში იყო, სადაც შეიძლებოდა, მშვიდობის ჩამომგდები და სადაც საჭიროება მოითხოვდა, გაჭირვებულების ზარის დამცემი. თითქო ვერყინ გამოჩნდა მთელს საფრანგეთში, რომ სამინისტრო შეედგინა. ჯერ მოინდომა შულ ჩეროიმ, მაგრამ პრინც ნაპოლეონის მოქმედებამ, როგორც მას, ისე იქნება ჩრეისინესაც, რომელსაც ეხლა ჰსურსო შეადგინოს სამინისტრო, შეუშალოს ხელი. შევლანი დაშინებული და პასუხის-გებაში არ უნდათ გახვიონ თავი, რადგან არ ვინ იცის, როგორ წავა საფრანგეთის საქმე. შევლა შეაფიქრა პრინცის მოქმედებამ. და ამ მიწურულში მოწინააღმდეგე დასნი მართლა რომ გაცხარებით მოქმედებენ ორთავე მხრით. რა საშუალება გინდათ, რომ არ ხმარობენ. აი, თუნდ ლეგიტიმისტები, ბურბონების მომხრენი, უღარბეს უბნებში ჰარიყისა არიგებენ თურმე რაღაც ბარათებს, ამ ბარათით ლარიბებს შეუძლიანთ დანიშნულ ფურნიდამ გამოიტანონ პური. ბარათებზე გამოსახულიაო შამპორის სურათი და სხვა და სხვა საკოროლო ემბლემები. საფრანგეთის გაზეთები ამ გვარად შეამკობენ ამ ქცევის ლეგიტიმისტებისას: ლარიბების დახმარება მადლია, მაგრამ ტყუილად ჰფიქრობენ ლეგიტიმისტები, რომ პარიყის მუშა ხალხი გაჰყიდის თავს და რეს-

შტურნალს „მეროპას მოამბეს“ მოჰყავს საუბარი ერთის უფროსისა თავის ხელ-ქვეითთან. შტურისი იყო თურმე ძალიან უკმაყოფილოდ, რომ მისი ხელ-ქვეითი პალატის თავმჯდომარეც იყო და იმავე დროს ერთ ქურნალში სტატიებსაც სწერდა. მრთხელ შეხვედრის დროს უთხრა:

—თქვენ, ალბად, ერთობ ბევრი დრო გრჩებათ სამსახურის შემდეგ, რომ მაგრე ბევრს ქურნალშიაც სწერთ?

—არა, თქვენო აღმატებულება, მიუგო ქვეშევრდომმა, სამსახური მართმევს ძალიან ბევრს დროს, მაგრამ მე ქაღალდს არ ვთამაშობ.

ამისთანა პასუხისთვის მას უბძანეს ეთხოვნა სამსახურიდამ გამოსვლა „ავად-მყოფობის გ.მო“.

მაგრამ ან ეს მაგალითები რა საჭიროა. დარწმუნებული ვარ, რომ შენც ყველა ამს თვით შენ კისერზედ გამოსცდი და მაშინ დაინახავ.

შენი ძიხა.

